თამთა ბუთხუზი, ქეთევან მაჭარაშვილი და ნინო კაპანაძე

ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია

„2023 წლის 15-19 მაისს, Erasmus + ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში ვესტუმრეთ ლუბლიანას უნივერსიტეტს, სლოვენიაში (University of Ljubljana, Slovenia).

ვიზიტის განმავლობაში შევხვდით ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლის წარმომადგენლებს. გავეცანით უნივერსიტეტის საორგანიზაციო სტრუქტურას, მათ მიღწევებსა და გეგმებს. შეხვედრების ფარგლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ლექციები და ტრენინგები თანამედროვე გამოწვევების შესახებ ციფრულ სამყაროში.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი მიზნად ისახავდა ურთიერთთანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარებას. ჩვენი მხრივ, Staff week-ის მონაწილეებს გავუზიარეთ კავკასიის უნივერსიტეტის გამოცდილება მარკეტინგულ საკითხებში, რაზეც დადებითი უკუკავშირი მივიღეთ.

გარდა სასწავლო და აკადემიური თემებისა, დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობები და გავეცანით სლოვენიის კულტურას.

Erasmus + Staff week-ის ფარგლებში გავაფართოვეთ საქმიანი კავშირები და დავგეგმეთ თანამშრომლობა.

ვიზიტი საინტერესო და პროდუქტიული გამოვიდა”.